ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

ფასი 2000 მ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: სარედაქციო—დღისა 14—76. სტამბის—ღამის—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

შაბათი, 9 ივლისი 1921 წ.

№ 104 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 104

## ახალგაზრდა კომუნისტთა ყრილობა

ს. ა. კ. კ. ც. კ. აუწყებს ს. ა. კ. კ.-რის ყველა ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს მოწვეულ იქნება საქართველოს ა. კ. კ.-რის ყრილობა დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი. 2. მოხსენება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 2 ე კონგრესის შესახებ. 3. ც. კ.-ის მოხსენება. 4. საორგანიზაციო აღმშენებლობის მორიგი ამოცანები. 5. სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა. 6. რ. ა. კ. კ. მე 4-ე ყრილობა. 7. ხასექციო მუშაობა. 8. ც. კ.-ის. არჩევნები.

ს. ა. კ. კ. ც. კ.

---

**კვირას, 10 ივლისს დილის 10 საათზე არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება შრომის დაცვის კომისიის და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია.**

## დღის წესრიგი:

1) საავადმყოფო კასის გამგეობის მოხსენება
2) მოხსენება შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის შესახებ.
3) საავადმყოფო კასის გამგეობის არჩევნები.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ და მანდატები თან იქონიონ

**საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი**

---

## ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ.

საქართველოს ახლად აღმოცენებულ საბჭოთა რესპუბლიკას თავს ესხმის საშინელი და თან საზიზღარი მტერი ადამიანის სიცოცხლისა. ეს არის ბასრი სასიკვდილო ცელით შეჭურვილი კბილებ-დაღრჭენილი ბებერი ხოლერა.

შიმშილობა და ხოლერა—ეს უსაზარლესი კოალიციაა ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული.

ამ კოალიციამ გამოგვიცხადა ომი ჩვენც. მისი მოწინავე შავი და ბნელი რაზმები შემოგვეჭრენ თვით დედა ქალაქში, ტფილისში და შემუსვრას გვიქადიან.

დღეს ჩვენ არ გვაწუხებს სამხედრო ფრონტი, არ მოგველის არც შინაური და არც გარეშე კონტრ-რევოლიუციონერების თავდასხმა, მაგრამ სამაგიეროთ შიმშილ-ხოლერის თავდასხმა ეს უფრო საშიში წყლულია, ვიდრე გარეშე მტრისა.

ქართველმა მუშამ და გლეხმა იცის როგორ გაუმკლავდეს გარეშე მტერს; ეს მან ისწავლა ათასეული წლების განმავლობაში წარმოებულ ბრძოლების გაკვეთილებით.

მან იცის, თუ როგორ მოუგრიხოს კისერი კონტრ-რევოლიუციას: ეს მან ისწავლა საკუთარი და რუსეთის პროლეტარიატის გამოცდილებით.

მაგრამ როგორ გაუმკლავდეს შიმშილობას და ხოლერობას, ეს მას ჯერ არ განუცდია და არც აქვს ამისათვის შესაფერი ცოდნა გამოცდილება.

აი რა არის სახიფათო და რაშია სიძნელე.

და სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ჩვენმა ნორჩმა რესპუბლიკამ მთელი თავისი ძალღები დასძრას, მთელ თავისი კულტურულ ძალებს თავი მოუყაროს და ერთი ძლიერი სანიტარული ლაშქარი შეადგინოს. რომ უჩინარ, მყრალ გაუმაძღარ მსუნაგ მმუსრავ მტერს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართოს.

და ეს ბრძოლა იქნება იმის ნამდვილი, უტყუარი მაჩვენებელი, თუ რამდენად შესწევს ჩვენს ხალხს ძალღონე ასეთ ფრონტზე ბრძოლისა, რამდენად იჩენს ის უნარსა და ნიჭს უჩინარ მტრების წინააღმდეგ არსებობის შენარჩუნების ასპარეზზე. ეს უდიდესი გამოცდა იქნება ქართველი ხალხისა საზოგადოებრივ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხოლერა ეს შედეგია უკულტურობისა.

კულტურონობა,—ეს შემმუსვრელია ხოლერისა.

ქართველი ხალხი ჩემულობს საზოგადოთ კულტუროსნობას მთელი აზიის ყველა ხალხთა შორის და ღღევანდელი გამოცდა გვიჩვენებს, თუ რამდენად „შესწევს ძალა მისი მისივე ქადილსა“.

ჩვენ აქედანვე უნდა გაუსწოროთ თვალი მოზღვავებულ მტრის ურდოებს და გადავხედოთ ჩვენს რაზმებს, ავწონ-დავწონოთ ჩვენი და მტრის ძალები, პოზიციები და ისე შევიმუშავოთ სტრატეგია.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ მტერმა იმ დროს მოგვისწრო, როცა საბჭოთა საქართველოში ბევრი რამ სრულებით არაა მოწყობილი და რაც არის, იმასაც ძალიან ბევრი ნაკლი ახლავს თან.

აი ჩვენ ამ მოწყობის და ნაკლის თავიდან აშორების მუშაობაში ვყავით ჩაბმული, რომ მტერმა დრო იშოვა და თავს დაგვესხა. ეს ჩვენი გამამართლებელი გარემოებაა, მაგრამ მეორე მხრით ტრისთვისაც მეტად ხელსაყრელი პირობაა.

მოუწყობელ საზოგადოებაში ხოლერა და შიმშილობა მაგრად იკიდებს ფეხს და ამ საზოგადოების ხშირი სტუმარი ხდება.

ჩვენდა სავალალოთ ჩვენი ნორჩი ორგანიზაციები, საწრაფოთ შემდგარი კომისიები მოქმედების ისეთ მაგალითებს გვიჩვენებენ, რომ თუ არ გამოვაკეთეთ საქმე, მალე სასოწარკვეთილებას მივეცემით.

გუშინ, როგორც სტატისტიკიდან დაინახავთ, ხოლერით ავათ ხდებოდა ათამდე კაცი, დღეს კი უკვე ოცამდე ადის და რამდენათ გაიზრდება ეს პროცენტი ზეგ, არავინ უწყის.

როცა ხოლერით განგმირული ასობით დაეცემა ტფილისის მცხოვრებთაგან მოქალაქე და ამხანაგი, მაშინ გვიანღა იქნება: მტერს ვეღარვინ შეაჩერებს და იგი საქართველოს წალეკავს!

მაშ ელვის სისწრაფით უნდა დაირაზმოს საქართველოს კულტურული ძალები და მოწინავე რიგებში უპირველესათ კომუნისტები უნდა ჩადგნენ.

კომუნისტი მებრძოლია არა მარტო პოლიტიკურ ასპარეზზე, არა მხოლოთ ეკონომიურ ფრონტზე, არამედ როგორც სამხედრო ფრონტზედაც, ისე ყოველ საზოგადოებრივ უბედურების წინააღმდეგ.

და რომ ჩვენი კომუნისტები, ვამბობთ ჩვენ, თავთავიანთ პოსტებზე პატიოსნად დადგნენ, თავიანთი მოვალეობა შეასრულონ, როგორც ეს მებრძოლ კომუნისტს შეფერის, ვერც შიმშილობა და ვერც ხოლერა ჩვენს ქვეყანას ვერაფერს დააკლებს.

მაგრამ, რას ვხედავთ ჩვენდა სავალალოთ?

ბრძანება გაიცა არ იყიდებოდეს ხილეულობა ქუჩებში, არ ჰყიდდენ უდუღარ წყალს, ან ასეთი წყლით დამზადებულ სასმელს და ყოველ ნაბიჯზე კი წ ნააღმდეგსა ვხედავთ.

ბრძანება იყო აგრეთვე, რომ დანიშნული ექიმებივალდებულნი არიან თავთავიანთ უბნებში სასწრაფო ზომები მიიღონ ხოლერის ნიშნებით და ხოლერით ავათმყოფთა საშველად და იზოლიაციისათვის და ჩვენ ამ ბრძანების შესრულების ნაცვლათ მოწმე ვყავით გუშინ ისეთი უგულგულობისა და დეზორგანიზატორობისა ამ სფეროში მესამე უბნის ერთი ექიმის მხრივ, რომ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ: ასეთი რენეგატები სასწრაფოთ გაიდევნონ სანიტარულ რაზმებიდან და მათ ალაგზე მიწვეულ იქნან მშრომელი ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარენი და თავისი საქმისა და მოვალეობის შემსრულებელნი.

ეს ორი მაგალითი საკმაოა იმისთვის, რომ დავინახოთ, თუ რამდენათ საჭიროებს საქმე და გარემოება ბრძოლაში პატიოსანი და ჭეშმარიტი კომუნისტების ჩარევას.

კომუნისტების თავგამოდებამ, თავდადებულმა ბრძოლამ, მათმა პირველ მებრძოლ რიგებში ჩადგომამ იხსნა საბჭოთა რუსეთი მრავალ გზის განსაცდელისგან და ჩვენც მხოლოთ ეს დაგვიხსნის!

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დღეს განსაცდელშია: ხოლერა და შიმშილი მას გარს ერტყმის და საქართველოს კომუნისტების ვალია მსწრაფლ დაირაზმონ, ჩადგნენ მოწინავე რიგებში და რესპუბლიკის მხსნელის როლი თავდადებით შეასრულონ.

---

## საბჭ. საქართველოში

**გრუზაგრონტას დეპეშები.**

**ბათომი. 27 ივლისი.** (ტელეგ.). ბერძნების ეროვნულმა საბჭომ ბათომში მოუწოდა ლტოლვილთ, რათა ისინი წალკაში დაბრუნებულიყვნენ, სადაც მუშახელის ნაკლებლობა ფრიად საგრძნობელია.

— საბინაო განყ. კომისია ახილავს სარევიზიციო მაღაზიებს და დაწესებულებათა შორის ანაწილებს, მაღაზიების ერთი ნაწილი ხელშეუხებელი დარჩება და ვაჭრობას განაგრძობს, ამასთან რამოდენიმე სავაჭრო დატოვებული უნდა იქნას ერთ მაღაზიაში.

— ბათომის ნავთსადგურიდან გავიდა გემი „რეშიდ-ფაშა“; მოვიდა „ქენა“, რომელმაც ბათომის კომერსანტების მისამართით მოიტანა სოდა, საპონი, ფქვილი, მანუფაქტურა, მედიკამენტები, ფეხსაცმელები, ძაფი, წვრილმანეულება, ლიმონი, სიცხის საზომები, შაქარი, ელექტრონის ლამპები, საკანცელარიო მოწყობილება და წინდები. გემმა „ნიკომიდიამ“ ჩამოიტანა 80 ტონნა მანუფაქტურა ბათომის კერძო კომერსანტების სახელზე. გემმა „ავანტანო“-მ მოიტანა ფქვილი, მანუფაქტურა, საპონი, ფეხსაცმელი. მგზავრთა შორის იმყოფებიან ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულ კომიტეტის თანამშრომელნი. „ალმანიამ“ მოიტანა 7 ათასი ფუთი საქონელი ამერიკულ კომიტეტის სახელზე, 4 მატორიან-იალქნიან გემმა ოსმალეთიდან ჩამოიტანა ფქვილი, საპონი და ტყავი.

—აღმოჩენილია ორი შემთხვევა ციმბირის ჭირით საქონლის ავადმყოფობისა. ივნისის 25 განმავლობაში ქვეში შეგროვებულია 10 ათასი 14 გირვანქა ჩაის ფურცელი. ნაყიდია 359 გირვანქა ჩაი.

— ბათომს ჩამოვიდა პროფესორი შიროკოგოროვი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჯანმრთელობის კომიტეტის მიერ მიღებულ ზომებში ქალაქის კარგ სანიტარულ პირობებში ჩასაყენებლად ეპიდემიასთან საბრძოლველად. პროფესორმა შიროკოგოროვმა ბათომის მდგომარეობა საშიშად იცნო და ურჩია მთელი რიგი სასწრაფო ხასიათის ზომების მიღება ქალაქის გასასუფთავებლად. პროფესორი გვირჩევს აშენდეს საკარანტინო ნავთსადგური, აბანოები სათბობი მასალით ზომარაგდეს, გასუფთავდეს ზღვის პირის ტერიტორია, დაარსდეს სპეციალური ლაბორატორია, საავადმყოფოები მოწესრიგდეს, იქონიოს ხელუხლებელი მედიკამენტებისა და დეზინფექციის ფონდი, გაძლიერდეს საექიმო თვალყურისდევნება ოსმალეთის ფილიუგებზე, აიკრძალოს ნავთსადგურზე ხანგრძლივი ყოფნა, მედიკური გაჭრის მოუხდელად. არავინ დაიმარხოს, ქალაქი რაიონებად განაწილდეს, დაარსდეს თაგვის მჭერთა რაზმები, გამოიშვას სპეციალური ლიტერატურა და პლაკატები ჯანმრთელობის გაუფრთხილება ამ ზომებს სასწრაფოთ ასრულებს.

— ბათომის მიდამოების სიმინდით დათესვა დამთავრებულათ ითვლება. დაუთესველობა ფრიად მცირეა, წვიმამ, რომელიც მაისს და ივნისს მოვიდა, უშველა ნაპირის საბაღო, საბოსტნო და სავილე კულტურებს.

— საბინაო განყოფილებამ საბინაო კრიზისთან ბრძოლის მიზნით, გადასწყვიტა შეამციროს ბათომის მცხოვრებთა რიცხვი 30 პროცენტით.

— მორიგი შაბათობა ჩინებულად ჩატარდა. მუშაობაში მონაწილეობა, წითელმა არმიელებმა და ახალგაზრდათა კავშირის კომიტეტმა მიიღეს. შაბათობამ, რომელიც საზაფხულო რაიონში გაიმართა, აგრეთვე კარგათ ჩაიარა.

**ქუთაისი. 27 ივნისი** (ტელეგრ.) ივნისის 26 საერთო განათლების დღე იყო: სპეციალურმა კომისიამ ამ დღისათვის მოაწყო მიტინგი, ქუთაისის სამაზრო სურსათ-სანოვაგის კომიტეტისა, ქუთაისის საერთო განათლების კომიტეტისა, კომუნისტურ რაზმისა და წითელ არმიის წარმომადგენლების მონაწილეობით. მონაწილენი ორკესტრის თანხლებით პლაკატებით პარიზის კომუნის მოედანზე გამოვიდნენ. მიტინგი გახსნა პარტიულ კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა კაცარავამ. პირველი სიტყვა სამაზრო პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე გაბოკაამ წარმოსთქვა, რომელიც შეეხო საერთო განათლების მნიშვნელობას სამხედრო ეკონომიურისა და პრაქტიკულის თვალსაზრისით. წითელი არმიის სახელით სიტყვა ამხ. ლოდოკოვმა სთქვა.

---

## კომინტერნის მე-3 კონგრესი.

27 ივნისის დილის სხდომა.

**ბელგიის პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლის სიტყვა.**

მოსკოვი, 29 ივნისი (რადიო). ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ჩამოშორება (დამახინჯებულია).. მომავალ კონგრესზე ჩვენ წარმოდგენილი ვიქნებით, როგორც დამოუკიდებელი პარტია. მძიმე პირობებში მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა. ჩვენი მთავარი მტრები მე 2 ინტერნაციონალის მეთაურებია. კომუნისტების დევნაში თავი ასახელა განსაკუთრებით ვანდერველდემ, რომელსაც, როგორც იუსტიციის მინისტრს, კომუნისტების დევნისათვის მოეპოვება მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი. ჰუისმანსი მტრულად გამოდის საბჭოთა რუსეთის და კომინტერნის წინააღმდეგ. მაგრამ ბელგიელი კომუნისტები დარწმუნებული არიან გამარჯვებაში. ვანდერველდემ ოდესღაც სთქვა, რომ ომმა გაანადგურა მუშების ყველა ძალები. ეს სიცრუეა. ბელგიელი მუშები საკმაოდ რევოლიუციონერები არიან, რომ ვანდერველდეს წინააღმდეგი დაუმტკიცონ.

**სამხრეთ სლავეთის კომუნისტთა წარმომადგენლის ამხ. მარკოვიჩის სიტყვა.**

სამხრეთ-სლავეთის კომუნისტური პარტია წარმოიშვა სერბიის სოციალისტური პარტიიდან, რომელიც 20 წლის განმავლობაში აწარმოებდა განუწყვეტელ რევოლიუციონურ ბრძოლას. ავსტრო-უნგრეთის დაცემის შემდეგ სერბიის ბურჟუაზიამ სამემკვიდრეოდ მიიღო უდიდესი სიმდიდრე (დამახინჯებულია), პარტიის რევოლიუციონურმა ელემენტებმა სასტიკი ბრძოლა გამართეს შემათანხმებლებთან და მოიპოვეს მათზე სრული გამარჯვება. პარტია არ შეჩერდა ძველი რევოლიუციონერის, ლაპჩევიჩის გამორიცხვის წინაც (დამახინჯებულია)... ამხ. მარკოვიჩი მოუწოდებს, მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ზომები იტალიურ სოციალისტურ პარტიის მიმართ.

**ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის ამხ. კოლაროვის სიტყვა.**

ბულგარეთის კომუნისტური პარტია მუდამ იცავდა ცენტრალიზაციის იდეას. ის იწონებს აღმასრულებელ კომიტეტის გადაჭრილ მოქმედებას იტალიის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკების და გერმანიის საკითხებში. ამხ. კოლაროვი მოითხოვს, რომ საფრანგეთის კომუნისტებმა დაიკავონ გადაჭრილი პოზიცია საფრანგეთის იმპერიალისტურ მთავრობის მიმართ, რომლის გენერლები სწყვეტენ ბალკანეთის ბედს, საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას ფრანგულ პარტიის ორგანიზაცია.

**კლარა ცეტკინის სიტყვა იტალიურ საკითხების გამო.**

ჩვენდა საუბედუროდ, იტალიის პროლეტარიატი იდეოლოგიურად ჯერ კიდევ ვერ დამდგარი მტკიცედ კომუნიზმის ნიადაგზე (დამახინჯებულია). სერატი, სამწუხაროდ. ჯერ კიდევ გავლენა აქვს მასსებში. სექტემბრის ამბებმა დაგვანახვეს, რომ იტალიურ პარტიას შეუძლია შექმნას მდგომარეობა (დამახინჯებულია). ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. კომინტერნს უნდა გაეწია დახმარება ერთიანი იტალიური პარტიის შექმნისათვის. მე ვიყავი გამიჯვნის წინააღმდეგ (დამახინჯებულია)... რომელნიც ადგებიან გზებს (დასასრული მიღებული არ არის).

**ყველა ქვეყანაში უნდა იყოს ერთი კომუნისტური პარტია.**

მოსკოვი. ივნისის 30, (რადიო), ტერაჩინი მოითხოვს კომინტერნის დადგენილებას, რათა თვითეული ქვეყნის ყველა ჯგუფები შეერთდენ ერთ კომუნისტურ პარტიაში. იმავე აზრს სპარსეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ღლავად ზადე, რომელმაც აღნიშნა, რომ სპარსეთში 2 კომუნისტური პარტია არის, ოსმალეთში კიდევ სამი; ეს გარემოება კი აიხსნება იმით, რომ წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები სცდილობენ გამოიყენონ იდეა კომუნიზმისა ყალბი და „პოდვალური“ კომუნისტური ორგანიზაციების შესაქმნელად.

**ლევის საქციელი.**

ამხ. რაკოში (უნგრეთი), დამსწრე იტალიური ყრილობისა ლივორნოში ცნობებს იძლევა ლევის საქციელზე ლივორნოს ყრილობაზე. მოველოდით მხარის დაჭერას ლევისაგან (დამახინჯებულია) ლევი სერატისთან ორი საათის საუბრის შემდეგ, გვარწმუნებდა სერატის პოზიციის სისწორეში. როცა ის დაბრუნდა გერმანიაში, ტყუილის თქმაც კი გაბედა და აცნობა გერმანელ ამხანაგებს, რომ სერატის მხარეზეა კომუნისტები და მუშები.

**სერიოზული ყურადღების მიქცევა ქალთა მოძრაობისადმი.**

სმაისლი (ინგლისის) ნათლად აღიარებს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში არა საკმაოდ გაშუქებას საერთაშორისო ქალთა მოძრაობისას; ის მიუთითებს კონგრესს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ქალთა პროლეტარიატს.

**ამხ. ტროცკის სიტყვა.**

ამხ. ტროცკიმ თავის ღრმა შინაარსიანი ანალიზით ნათელი ხაზებით გააშუქა იტალიის პროლეტარის ტრაღიკული მდგომარეობა, რომელიც დიდი ხნის პროპაგანდამ მიმართა აქტიურ მოქმედებისაკენ. და როცა მან დაიწყო თავის უფლებათა დაპყრობა, იტალიის სოციალისტური პარტიის წინამძღოლებმა ის ჩაუტოვეს ბურჟუაზიის აღვირ ახსნილ თვითნებობას. ტროცკი გადაჭრით უარყოფს სერატის მტკიცებას რომ თითქოს საბჭოთა რუსეთის მიზანია გამოიწვიოს საერთაშორისო აჯანყება მხოლოდ და მხოლოდ თავის თავის გადარჩენის მოსაზრებით. რუსის კომუნისტები ყოველთვის ანგარიშს უწევენ თვითეული ქვეყნის პირობებს და იმ მომენტში, როცა საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის პროლეტარიატი აიღებს თავის ხელში ძალაუფლებას, საერთაშორისო მოძრაობაზე გავლენის 90 პროც. გადავა მის ხელში. მაგრამ სამწუხაროდ ჯერჯერობით ერთად ერთი ნავთსაყუდელი საერთაშორისო რევოლიუციისა არის რუსეთი და ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ვალია იგი დაიცვას.

**რეზოლიუცია აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენების გამო.**

მთელ რიგ გამოსვლების შემდეგ, რომელთაც შეავსეს თვითეული შტრიხებით საერთო სურათი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა, კონგრესი სწყვეტს კამათს და ისმენს 9 დელეგატის მიერ შეტანილს რეზოლიუციას. აღნიშნული რეზოლიუცია აღიარებს, რომ კონგრესი დიდი კმაყოფილებით ღებულობს აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშს და სცნობს მის პოლიტიკას სწორედ. კონგრესი განსაკუთრებით ადასტურებს მტკიცე და გადაჭრილ გატარებას ყველა ქვეყნებში 21 მუხლისაგან შემდგარ პირობებისა, რომელიც მეორე კონგრესმა შეიმუშავა. მოწონებულ იქნა აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედება მიმართული მასიური კომუნისტური პარტიების შესაქმნელად ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეუბრალებელი და დაუნდობელი მოქმედებისათვის. კონგრესი მთლიანად ადასტურებს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას იტალიის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ და წინადადებას აძლევს იტალიელ სოციალისტებს დაუყოვნებლივ გამორიცხოს თავის წრიდან რეფორმისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში იტალიის სოციალისტური პარტია ვერ შევა კომუნისტურ ინტერნაციონალში. თუ იტალიის სოციალისტები მიიღებენ კონგრესის წინადადებას, მაშინ აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა იხმაროს ყოველივე ღონე, რათა შექმნილ იქმნეს იტალიაში მესამე ინტერნაციონალის ერთი კომუნისტური სექცია.

კონგრესი გადავიდა გერმანიის მუშათა კომუნისტური პარტიის საკითხზე და მან აგრეთვე სრულიად მისაღებად ჩასთვალა აღმასრულებელი კომიტეტის პოზიცია და თუ ეს პარტია უახლოეს დროში არ შეუერთდება გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიას, მაშინ ევალება აღმასრულებელ კომიტეტს გამორიცხოს იგი მე-3 ინტერნაციონალიდან; არ დასტოვოს იგი თანამგრძნობთა შორისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

# საზღვარ გარეთ

[illegible]

## [illegible?]

[illegible]

მიზნით ინგლისელები ანატოლიაში გზავნის ხალხს. მიღებულ ცნობებით, ინგლისის აგენტებს ნაბრძანები აქვთ პროპაგანდის გაწევა ენვერ-ფაშის სახელით იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად აღელვონ ხალხი.

## ინგლისის მაღაროში მომუშავენი.

ლონდონი. 26 ივნისი, ინგლისის მაღაროში მომუშავეთა თაოსნობით მოწვეულია მაღაროში მომუშავეთა თათბირი მწარმოებლებსა და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად.

## ეგვიპტეში.

ქაირო. ეგვიპტეში გრძელდება რევოლიუციონური მოძრაობა, რკინის გზის მუშები განაგრძობენ გაფიცვას. გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა.

## [illegible?]

[illegible]

## ბერძენ-ოსმალთა ომი.

[illegible] წრეებში გამოთქვამენ მწუხარებას, რომ მოკავშირეთა წინადადება არ იქმნა მიღებული იმ დრომდე, როდესაც საბერძნეთის ლაშქარმა დაიწყო ახალი შეტევა, პირველ შედეგების მიღწევამდე.

## ოქროს კერპი.

მოსკოვი. 27—6. (რადიო). ოფიციალური ცნობების მიხედვით შეერთებულ შტატების ოქროს ფონდი, რომელიც კერძო პირთა და საზოგადო დაწესებულებებს უჭირავს 3250 მილ. ოქროს დოლარს შეადგენს ე. ი. მსოფლიოს ოქროს თადარიგის $^2/_3$ უდრის. ყველა ფერი ეს ამერიკამ ომიანობის დროს შეიძინა. დღეს ის მსოფლიო ჩარჩია.

# პროვოკატორების საყურადღებოთ.

მეფის თვითმპყრობელობის და აგრეთვე მენშევიკურ მთავრობის ბატონობის დროს ყოველ სპეკულიანტს შეძლება ჰქონდა მოეტყუილებინა ღარიბი გლეხი-მწარმოებელი. სპეკულიანტები ჩალის ფასათ ყიდულობდნენ სოფლის ნაწარმოებს. ეს უკანასკნელნი გადადიოდნენ ხელიდგან ხელში და ბოლოს კაპიტალისტებს ხვდებოდნენ წილათ. ნაწარმოების საფასურის დიდი ნაწილი ჩადიოდა შემსყიდველების და გადამყიდველების ჯიბეებში. განსაკუთრებით ამ გვარ ოპერაციებს აწარმოებდნენ აბრეშუმზე, მატყლზე, ნიგოზზე და სხვა. საქართველოს რევკომმა მიიღო რა მხედველობაში ეს მდგომარეობა, გამოსცა დეკრეტი აბრეშუმის პარკის, აბრეშუმის, ნაბოლარის და ყაჭის მონოპოლიის შესახებ.

[illegible] ბით. ამ რიგათ შეგროვილი დაუმუშავებელი საქონელი შესაძლოა პირველ რიგში და ახლო მომავალში საზღვარგარედ გავანაღდოთ, რასაც ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენი სხვა სავალიუტო საქონელი, როგორც მაგ. ხე ტყე, შავი ქვა, მატყლი მოითხოვს დიდ დროს დამზადების, აკრეფის და განაღდებისათვის.

ასეთია მიზანი აბრეშუმზე გამოცხადებულ მონოპოლიისა (დეკრეტი № 45, გამოქვეყნებულია „პრავდა გრუზიის“ მე 89 ნომერში—1921 წ. ივნისის 19), მოსალოდნელი იყო, რომ ეს უკანასკნელი გამოიწვევდა ხელის შეწყობას მცხოვრებთა მხრივ, რომელნიც პარკის ნაცვლათ, რომლის წარმოება ჩვენი სასოფლო მეურნეობაში მხოლოდ ხელშესაწყობია, მიიღებენ მანქანებს, იარაღს და სხ. და რასაკვირველია მიიღებს პირდაპირ მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ მოწყობილი პარკის განაღდებისაგან შემოსულ მოგებაში, რაზედაც ზედმეტია ლაპარაკი.

მაგრამ, სპეკულიანტები, რომლებსაც მონოპოლიამ მოგება მოუსპო, ეწევიან გლეხთა შორის აგიტაციას, რათა პარკიდან დაართვან ძაფი, რომელსაც ვითომდა მონოპოლია არ შეეხება და ამ გვარათ გზა აუხვიონ მონოპოლიას.

ეს ბოროტი აგიტაცია გლეხობისათვის ორმაგ საზარალოა, ვინაიდგან აბრეშუმის დართვა 1) არ ათავისუფლებს მათ მოვალეობისგან, რადგანაც ისინი ვალდებულნი არიან ჩააბარონ ძაფი მხოლოდ მთავრობას თანახმათ დეკრეტისა და 2) დაბალ ფასს აძლევს საქონელს, ვინაიდან შინაური დართვა ყოვლად შეუდარებელია მანქანის დართვასთან.

ძაფის შეძენის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას, ამიტომ ამგვარი აგიტაცია აღიარებულია იქნებ როგორც წინააღმდეგობა მონოპოლიის ცხოვრებაში გატარებისა და აბრეშუმეულობის ნაწარმოები ამ შემთხვევაში ჩამოერთმევათ კონფისკაციის წესით თანახმად დეკრეტისა.

ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ადგილობრივ უნდა განუმარტონ მცხოვრებლებს რამდენად შეეფარდება მათ ინტერესებს აბრეშუმის მონოპოლიის დაცვა და რომ სწორეთ ამ ინტერესების გამო სასტიკათ დასჯილ უნდა იქმნენ ყველა ის პირნი, რომელნიც ასე თუ ისე აფერხებენ აბრეშუმის მონოპოლიის ცხოვრებაში გატარებას.

ერქომაიშვილი.

# საერთაშორისო პროლეტარიატის ჰიმნი „ინტერნაციონალი“

[illegible] დღეიდან უნდა იქმნეს პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის საგიტაციო განყოფილებაში (ლორის მელიქოვის ქუჩა № 5) არა უგვიანეს 20 ამა ივლისსა.

პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის საგიტაციო განყოფილება.

## L'Internationale

C'est la lutte finale:
Groupons-nous, et demain
L'Internationale
Sera le genre humain.

Debout! les damnés de la terre!
Debout! les fonçats de la faim!
La raison tonne en son cratère:
C'est l'eruption de la fin.
Du passé faisons tablera es,
Foule esclave, débout! debout!
Le monde va changer de base:
Nous ne sommes rien, soyons tout!

Il n'est ras de sauveurs suprêmes.
Ni Dieu, ni César, ni tribun,
Producteurs, sauvons-nous nous mêmes!
Décrétons le salut commun!
Pour que le voleur rende gorge,
Pour tirer l'esprit du cachot,
Souffions nous-mêmes notre torge,
Battons le fer quand il est chaud!

L'Etat comprime et la loi triche;
L'Impôt saigne le malheureux;
Nul devoir ne s'impose au riche;
Le droit du pauvre est un mot creux,
C'est assez languir en tutelle,
L'égulité veut dautres lois;
«Pas de droits sans devoirs, dit-elle:
Egaux, pas de devoirs sans droits!»

Hideux dans leur apothéose,
Les rois de la mine et du rail
Ont-ils jamais fait autre chose,
Que dévaliser le travail?
Dans le coffres-forts de la bande
Ce qu'il a créé s'est fondu:
Eu décrétant qu'on le lui rende
Le peuple ne veut que son dû.

Les Rois nous soûlaient de fumées,
Paix entre noux, guerre aux tyrans!
Appliquons le greve aux armées,
Crosse en l'air et rompons les rangs!
S'ils s'odstinent,, ces cannibales,
A faire de nous des héros,
Ils sauront bientôt que nos balles
Sont pour nos propres généraux.

Ouvriers, paysans, nous sommes
Le grand parti de travailleurs:
La terre n'appartient qu'aux hommes,
L'oisif ira loger ailleurs.
Combien de nos chairs se repaissent!
Mais, si les corbeauz, les vautours,
Un de ces matins, disparaissent,
Le soleil brillera toujours!
C'est la lutte finale:
Croupons-nous, et demain
L'Internationale
Sera le genre humain.

## Интернационал.

Ежень Потье.

Это есть наш последний
И решительный бой
С Интернационалом
Воспрянет род людской.

1

Вставай, проклятьем заклейменный,
Весь мир голодных и рабов!
Кипит наш разум возмущенный
И в смертный бой вести готов.
Весь мир насилья мы разроемъ
До основанья, а затем
Мы наш, мы новый мир построим:
Кто был ничем, тот станет всем!

2

Никто не даст нам избавленья—
Ни Бог, ни царь и не герой.
Добьемся мы освобожденья
Своей лишь собственной рукой.
Чтоб свергнуть гнет рукой умелой,
Отвоевать свое добро,—
Вздувайте гори и куйте смело,
Пока железо горячо!..

3

Закон—обманная затея,
Налог—в крови по горло стой...
Нет долга в жизни богатея,
А бедным—„право« звук пустой!
Томить опекой нас довольно,
Другой у равенства закон:
С правами связан долг невольно,
Без них—пускай не будет он!

4

Гнусные в своем торжествованьи
И шахт, и рельсов короли.
Они в губительном стараньи
Рабочих грабить лишь могли.
И в свой сундук вся эта свора
Запрячет все, что мы дадим.
Нет! Это—наше все без спира,
Мы своего себе хотим!

# საქართველოს სასურსათო მდგომარეობა

საბჭოთა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესში, სასურსათო კომისარიატი და მისი დაწესებულებანი არიან, როგორც ამხ. სვიდერსკი ამბობს, მშრომელთა ბრძოლის ორგანოები შიმშილობასთან არსებობის უფლებისათვის. სახელმწიფოებრივი მომარაგების ორგანოთა მოღვაწეობა არის ერთი უმთავრესი და უძნელესთაგანი საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში, ვინაიდან ეს მოღვაწეობა მჭიდროთ უნდა იყვეს შეკავშირებული და შეთვისებული რესპუბლიკაში არსებულ ეკონომიურ პოლიტიკასთან. გარდა ამისა, მან უნდა აწარმოვოს არა მარტო სამეურნეო ოპერაციები, არამედ გააშუქოს პოლიტიკური ამოცანები.

ხელისუფლების ხელში ჩაგდება საქართველოში მოხდა იმ დროს, როდესაც საქართველო ეკონომიურ და განსაკუთრებით სასურსათო კატასტროფას განიცდიდა. ხელისუფლების ხელში ჩაგდების დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ თბილისის საწყობებში მხოლოდ 1 ნახევარ დღის საყოფი ხორბლეულობის მარაგი.

სამოქალაქო ომის გამო ერთი თვის განმავლობაში, ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ყოვლივე კავშირს სოფელთან, რამაც მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თბილისის მუშათა კვების საკითხი. ამავე დროს ქართული ბონების კურსი საშინელი სისწრაფით ეცემოდა; ვაჭრობაში და მრეწველობაში გამეფებული იყო სპეკულიაცია, კერძო კაპიტალის ტურაწესწყობილობისათვის დამახასიათებელ, ეკონომიურ ანარქიით.

სასურსათო მდგომარეობის კატასტროფა საქართველოში გამოწვეული იყო, გარდა საერთო ეკონომიური, აგრეთვე შემდეგი ადგილობრივი მიზეზებით. სასურსათო მარაგი გატანილი იყო მენშევიკების მიერ; საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში გამოცხადების შემდეგ ვაჭრული დამოკიდებულება დასავლეთ ევროპასთან შესწყდა და ის ხორბალი, რომელიც გზაში იყო და დაუმუშავებელ მასალაზე გაცვლილი უნდა ყოფილიყო, დაკავებულ და სტამბოლში დაბრუნებულ იქნა მენშევიკების მიერ. ამას დაემატა ის გარემოება, რომ საქართველო ამ დროს ყოველთვის კრიზისს განიცდიდა. წარსული წლის მოსავალი ჩვეულებრივ გაზაფხულამდე შეჭმული იყო და ახალ მოსავლამდე საქართველო მუდმივ განიცდიდა პურის დიდ ნაკლულევანებას. საქართველო საკუთარი პურით ვერ იკვებება და საჭიროებს ხორბლის შემოტანას: ომიანობამდე მის საზღვრებში რკინის გზით და ფოთის ნავთსადგურით შემოჰქონდათ წლიურათ 4 მილიონ ფუთამდე ხორბლეულობა და ფქვილი, ამის გარდა ხორბლეულობა და ფქვილი, ამის გარდა ხორბლეულობა და ფქვილი შემოჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს და ოსეთის გზებით. ამ რიგათ, ნორმალურ პირობებშიაც საქართველო იძულებული იყო გამოეძებნა ხორბალი თავისი საზღვრების გარეშე. სწორეთ იმ დროს, როდესაც ვაჭრული დამოკიდებულება დასავლეთ ევროპასთან შეწყვეტილი იყო და საბჭოთა რუსეთმა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომელნიც სასურსათო კრიზისს განიცდიდნენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა დაეკმაყოფილებინათ წითელი ლაშქარი, ვერ შეძლეს გაეწიათ საქართველოსათვის რაიმე არსებითი დახმარება სურსათით, იძულებული შევიქენით დავყრდნობილიყავით, საქართველოს საზღვრებში, ადგილობრივ დამზადებაზე. ამავე დროს მოთხოვნილებანი მატულობდნენ და თუ რომ თბილისში მარტის დასაწყისში ჩვენ ვაკმაყოფილებდით, ე. წ. მუშათა მადიდის საშუალებით, 45.000 მჭამელს, ივნისისათვის ჩვენ ურიგებდით სასურსათო ულუფას 90, 765 კაცს, ე. ი. გადიდება აღემატება 100 პროც.

ჩვენ მივაქციეთ მთელი ჩვენი ყურადღება სოფელთან კავშირის დამყარებას, მაგრამ წინ გადაგვეღობა მენშევიკების პროპაგანდა, ე. ი. საჭირო შეიქმნა დიდი ღვაწლი რათა მოგვესპო მენშევიკების მიერ შექმნილი ატმოსფერა ჩვენი საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. მოწყობილ იქმნენ, მაზრების რაოდენობის მიხედვით, სასურსათო კომისარიატები კოლეგიურ პრინციპზე აშენებულნი (სახსასურკომები). სახსასურკომის კოლლეგიას ირჩევდნენ სამაზრო რევკომები, სახსასურკომი კი ამტკიცებდა მათ, მხოლოდ კოლლეგიის თავმჯდომარეს-სასურკომისარს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა კოლლეგიის გადაწყვეტილებანი რამდენად ეგ უკანასკნელნი არ ეთანხმებიან სახსასურკომის საერთო პოლიტიკას. მაგრამ სამსასურკომები მიუხედავათ იმისა, რომ მათ განკარგულებაში იმყოფებოდნენ ძლიერი საშუალებანი, როგორც ფულის ისე საქონლის სახით, ვერ გამოდგენ იმ მიზნების შესაფერი, რომლის განხორციელებისათვის დაარსებული იქმნენ. ადგილობრივი პატრიოტიზმით გაჟღენთილნი, მათ ვერ გაითვალისწინეს თავისი მიზანი საერთო რესპუბლიკის მასშტაბის მიხედვით, თავისი რთული დამზადებანი მათ, განსაკუთრებით ადგილობრივ, გაანაწილეს და მხოლოდ თავისი ოპერაციათა რაოდენობაზე ზრუნავდენ. იმ დროს, როდესაც სახსასურკომი, როგორც თფილისში, აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც, შეძლებას მოკლებული იყო დაერიგებინა მუშებისთვის თითო გირვანქა პური, მრავალ მაზრებში სამსასურკომები არიგებდენ $1\frac{1}{2}$ გირ. პურს თითო მჭამელზე და აგრეთვე აძლევდნენ სადილს და ვახშამს, და ცენტრს კი მიუხედავათ სახსასურკომის განკარგულებისა არაფერს არ აწვდიდნენ. სამსასურკომებმა ვერ შესძლეს შესაფერ დონეზე დამზადების დაყენება, არ მუშაობდნენ ინტენსიურათ, იმავე დროს კი კერძო სპეკულიატიურ აპარატს გამოჰქონდა სოფლიდგან ხორბლეულობა, რომელსაც სპეკულიატიურ ფასებში ქალაქს აწვდენდა.

ხორბლეულობის დამზადების გასაძლიერებლად სახსასურკომმა მოიწვია მუშათა ორგანიზაციების (პროფკავშირების) წარმომადგენელნი (ცალკე ორგანიზაციათა წარმომადგენელნი) იგზავნებოდნენ სოფლებში სურსათის შესაძენათ, აღჭურვილნი სახსასურკომის შესაფერ მანდატებით, რომლის თანახმათ მთელი დამზადებული სურსათის შეძენის უფლება მუშათა ორგანიზაციათა წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. სახსასურკომს სურდა გაენვითარებინა თვით მუშებში უნარი მუშაობისა სასურსათო ორგანიზაციებში, მაგრამ ამ ცდამ არ გამოიღო შესაფერი ნაყოფი ჯერ ჯერობით, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს აკლდათ და კიდევაც აკლიათ უნარი სურსათის დამზადების საქმეში და ამ მძიმე განსაცდელში მათ ვერ შესძლეს კრიზისის მოსპობა. მასთან ერთად თანახმად საბჭოთა საქართველოს საერთო ეკონომიურ პოლიტიკისა, რომელიც მხედველობაში იღებს რუსეთის გამოცდილებას და ადგილობრივ პირობებს, ჩვენ უარვყოფთ იძულებითი ზომებს გლეხობისადმი. ჩვენ ხელმძღვანელობთ ამხ. ლენინის დირექტივით, რომელიც ამბობს: „საჭიროა მთელი ენერგიის მოხმარება, რათა დარღვეული არ იქმნას ქალაქის და სოფლის შორის კეთილი განწყობილება“. ჩვენ იძულებული ვართ ჯერ-ჯერობით ხელუხლებლად დავსტოვოთ წვრილი ვაჭრობა, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთა და თვით პროლეტარიატის სრული სასურსათო ულუფით დაკმაყოფილების ფიზიკურ შეუძლებლობის გამო. წვრილი ვაჭრობის აკრძალვა და შეზღუდვა მოიწვევს მხოლოდ ცხოვრების მეტ სიძვირეს და მოუსპობს მუშას ყოველივე შეძლებას შეავსოს თავისი ულუფა თავისუფალ ბაზარზე. მეორე ძირითად მომენტს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისას შეადგენს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებათა მწარმოებლებთან თავისუფალ გაცვლის პრინციპის გატარება. სახსასურკომი აწარმოებს თავის დამზადებას ბაზარის ფასებში თავისუფალ შესყიდვის პრინციპის მიხედვით. მაგრამ ვინაიდან ჩვენი ბონების კურსი ეცემა და მათი ღირებულება ხშირათ იცვლება, სოფლიდან ხორბლეულობის გამოსატანათ საჭირო შექმნა გვეწარმოებინა დამზადება საქონლის გაცვლის პრინციპის მიხედვით და რომ გლეხობის ინტერესები თავიდანვე, ჩვენი მოქმედების დაწყებისთანავე მივვეპყრო, ჩვენ ვაძლევდით 30 პროც. ნაწარმოებათა საფასურისას საქონლით და 70 პროც. ფულის ნიშნებით. ამ ჟამად გლეხობა არ კმაყოფილდება ამ გვარ პროპორციით და ფულის ნიშნების ღირებულების დაცემის გამო გაცვლის დროს თხოულობენ საქონელს 100 პროც. ამისათვის საჭირო ხდება ჩვენი საქონლის ფონდის გაძლიერება. მაგრამ ფართო მოსახმარი ნივთები, რომლების გაცვლა ხორბალზე შესაძლებელია მაგ. ფართლეულობა, სასოფლო სამეურნეო იარაღი, მარილი, ნავთი, საპონი და სხვა. საქართველოში არ მოიპოვებიან, ჩვენ არ ვაწარმოებთ და არ ვქონით მათ, უმეტესი ნაწილი იმისა, რაც საქართველოში იყო, გატანილ იქმნა საზღვარ-გარეთ მენშევიკების მიერ. გადაცვლისათვის საჭირო ნაწარმოებთა ნაწილი—ნავთი, მარილი, შესაძლოა და კიდევაც უნდა დაგვითმონ სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებმა, მხოლოდ დანარჩენი საქონელი-კი, რომელიც მათ მოეპოვებათ, დამზადებული უნდა იქმნას საზღვარგარეთ.

ჩვენ მოვახდინეთ მობილიზაცია მთელი ჩვენი საქონლის მარაგისა, რაც შესაძლო იყო უკვე გავეცით, მაგ. სამსასურკომების განკარგულებაში გაგზავნილი იყო ნავთი, მარილი, შაქარი, ასანთი, საპონი, თამბაქო, პაპიროსები, გოგირდი, შაბიამანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ფართლეულობა. ზემოაღნიშნულ საქონელზე გადაცვლით ჩვენ მივიღეთ, მარტიდან პირველ ივნისამდე—ხორბლეულობა 60,000 ფუთამდე. რასაკვირველია, ეს რაოდენობა ჩვენ არ დაგვაკმაყოფილებდა და განსაცდელ წუთში ჩაგვაგდებდა. არსებითი დახმარება გაგვიწია ჩვენ მე 11 არმიის სასურსათო მართველობამ. ამ ჟამად კი მე-11 არმიის სასურს. მართველობა არ გვეხმარება ჩვენ, ვინაიდან საბჭოთა რუსეთს, სასურსათო გადასახადის შემოღების გამო არ შეუძლია ახლო მომავალში გაგვიწიოს რაიმე არსებითი დახმარება. ცხადია, რომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ საკუთარ დამზადების მასშტაბით, როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. საეჭვოა რომ განძრახულ სასურსათო გადასახადის შემოღებამ საქართველოში წრეულს რაიმე ნაყოფი გამოიღოს, თან არ შევეხებით იმას, რომ მისი აკრეფის რეალიზაცია შესაძლოა მხოლოდ მოსავლის შემდეგ. საერთოთ ძნელია გამოანგარიშება რამდენად ეს გადასახადი დააკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნილებას ხორბალზე და სხვა ნაწარმოებზე; გლახა მოსავალი და ტეხნიკური სიძნელე სასურსათო გადასახადის გატარების საქმეში საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სასურსათო გადასახადი მოგვცემს მეტად მცირე ნაწილს ჩვენთვის საჭირო ხორბლეულობისას, არა უმეტეს 20 პროც. საერთო მოთხოვნილებისას.

არც ეხლა და არც ახალ მოსავლის შემდეგ არ შეიძლება გამოვიტანოთ სოფლიდან ჩვენთვის საჭირო ხორბლეულობის რაოდენობა. შარშანდელი გვალვა და მომავალი წლის გაზაფხულის უწვიმობა და აგრეთვე დაუთესელ ადგილების დატოვება მთელ რიგ მაზრებში იმედს არ იძლევიან კარგ მოსავალზე და ის ზედმეტი ხორბალი, რომელიც შეუძლიან სოფელს ჩვენ მოგვაწოდოს,

5

Кормили дымом нас тираны,
Так мир же нам, а им—война!
Долой оружье, прочь обманы,
Военщина нам не нужна!
О люди, вы хотите
Героями поделать нас—
Так наших пуль себе же ждите:
От них придет вам смертный час!

6

Лишь мы, работники всемирной
Великой армии труда,
Владеть землей имеем право,
Но паразиты—никогда!
И если гром великий грянет
Над сворой псов и палачей,—
Для нас все так же солнце станет
Сиять огнем своих лучей.

Это есть наш последний
И решительный бой.
С Интернационалом
Воспрянет род людской.

Пер. Ник. Теркин.

5

Цари нам голову дурманят,
Мы—мирный труд. Война—царям!
Пусть стачка армий грозно грянет
Из строя прочь и—по домам!
И пусть посмеют патриоты
В нас пыл разжечь для их атак,—
Мы сразу наши пулеметы
Направим в собственных вояк.

6

Лишь мы, трудом объединенный
Союз рабочих и крестьян,—
Земли хозяин прирожденный,
А не бездельники всех стран!
Довольно хищникам кормиться!—
И, если черная орда
При свете утра разлетится,
То солнце с нами навсегда!

Пер А. Зарницын.

## Интернационал.

1

Восстан, народ порабощенный!
Вперед, колодники нужды!
Кипит наш разум возмущенный,
И близок страшный взрыв вражды.
Сметем уклад многовековой!
Рабы! Возмитесь за ружье!
Изменит мир свои основы:
Мы в нем—ничто, а будем—все!
Припев: Мы под знаменем алым
Победим, и тогда
Интернационалом
Весь будет мир труда.

2

Никто ни даст нам полной воли,
Ни Бог, ни царь и не герой,—
Мы сами мощью нашей воли
Воздвигнем новый светлый строй.
Чтоб легче свергнуть гнет позорный,
Чтоб не склониться пред мечем,—
Дружнее куйте, ладя горны,
Пока железо горячо!

3

Нас давит власть, и лгут законы,
Налог навис над беднотой,
Богач сгребает миллионы,
Права рабочих - звук пустой!
Мы под опекой жили долго,—
Пава! Закон равенства прав,
Он говорит: „Нет прав без долга".
Равно и долга нет без прав"!

4

Гнусны при всей кичливой славе
Владыки фабрик, шахт и руд:
Твердят о долге и о праве,
А сами жадно грабят труд.
У них наш труд лежит по кассам,
Залитый в золото хитро,
Пускай вернут рабочим массам
Назад народное добро!

## ქრონიკა

**დაპატიმრებულთა ხოლერის აცრა.** ხოლერის გაჩენისთანავე იუსტ. სახ. კომისარიატის მიერ განკარგულება იქნა გაცემული რესპუბლიკის ყველა საპატიმრო ადგილთა მიმართ, რომ ყველა დაპატიმრებულებისათვის მოეხდინათ ხოლერის საწინააღმდეგო აცრა.

**ამნისტია.** საქართველოს რევკომმა იუსტი. სახ. კომისარიატის მოხსენების შემდეგ გადასწყვიტა გავრცელებულ იქნას 26 მაისის ამნისტია იმ პირებზე, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან ადმინისტრაციული წესით 3 თვით.

**დახმარება მეწშ ვიკების მსხვერპლთა მიმართ.** თანახმად 71 კომლი მახოვნელი გლეხებისა ცხინვალის რაიონიდან, რომელიც დაზარალებულნი იქმნენ თებერვლის გადატრიალების დროს, სახ. სამეურნ. კომისარიატმა დაადგინა, მიეცეთ მთხოვნელებს ბინის ასაშენებლად 25 ხე და 50 სვეტი აბანოსთვის—100 ხე და ბეღლისათვის 10 ხე, აგრეთვე მიეცეთ მათ საჭირო სამეურნეო იარაღი და მანქანები ბათუმიდან მიღებისთანავე.

**ცეცხლი რუსთაველის პროსპექტზე.** გუშინდელ ცნობის დასამატებლად სამაზრო რევკომის შენობის, ყოფ. მუხრანსკის სახლები, ცეცხლის გაჩენის შესახებ გაუწყებთ, რომ ცეცხლი დაიწყო 28 ივნისს დილით 10 საათზე სამაზრო რევკომის სასადილოს სამზარეულოდან, ერთსა და იმავე დროს ცეცხლი გამოჩნ. და ორ-სამ ადგილას სახლის ქვეშ. ცეცხლის ალაგას დაუყოვნებლივ გაჩნდნენ ცეცხლის მქრობელი რაზმი, მეორე და მესამე კომისარიატის მილიციონერები კომისრებით, ნახევარ საათის შემდეგ ცეცხლის ადგილას მოვიდა ყველა სამი ლიცეო კომისარიატების მარქაფი და მილიციის ცხენოსანი ასეული. გარნიზონის უფროსის ბრძანებით წესიერების და ნივთების დასაცავად გამოიწვიეს ქართული საბჭოთა № რაზმი და № ბრიგადის კურსანტები, აგრეთვე ბოისკაუტები ამხ. კომუნისტთა საგანგებოთ დანიშნულებს კომუნისტური რაზმები სწრაფად და სწორეთ ასრულებდნენ ქალაქ ს მილიციის უფროსის ბრძანებას ცეცხლის ჩასაქრობლად და წესიერების დასაცავად ყოჩაღად მუშაობდნენ ცეცხლის მქრობელები. აუარებელ გამხმარ ხის მასალის და ძლიერი ქარის გამო ცეცხლი სწრაფათ მოედო შენობის უზარმაზარ კორპუსს, მაგრამ მეზობელი სახლები გადაარჩინეს. ივნისის 29 დილის 5 საათზე მოახდინეს ცეცხლის ლოკალიზაცია. ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამო სწარმოებს ენერგიული გამოძიება.

**საქ ლ ქო სტატისტიკა.** ქალაქის სასტატისტიკო ბიურომ დაამთავრა ქალ. ტფილისის მედიკო სანიტარულ ნაწილის მასალების განხილვა მიმდინარე წლის იანვრიდან აპრილამდე.

**ღვინის მოსავალი** წელს ღვინის მოსავალს მოელიან საშუალოზე მეტს განსაკუთრებით კარგ მოსავალს მოელიან კახეთში, თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

**ხეტყვა.** სოფელ ნაფარეულში, თელავის მაზრა, და კარდანახში სიღნაღის მაზრაში, მოვიდა მსხვილი სეტყვა, რომელმაც ძლიერ გააფუჭა ნახელმწიფო ზვრები.

**სახელმწიფო საოპერო თეატრში.** კვირას, ივლისის 10-ს შესდგება კონკურსი იმათთვის, ვინც სურვილი განაცხადა საოპერო თეატრის გუნდში სამსახურისათვის. კონკურსის დასაწყისი დილის 11 საათზეა.

**ხელოვნური ყინული.** ს. მ. უ. ს. ქიმიური განყოფილება აცხადებს, რომ საბჭოთა პირველი ყინულის დამმუშავებელი ქარხანა (ყოფილი ძეგველოვისა პუშკინის ქ. №) კეთდა პარებზე ყინულს ჰყიდის დაკლებულ ფასებში დილის 7 ს. სღ. 8 საათამდე.

**გაძლიერებულ კვების მოსპობა.** სურსათის სიმცირის გამო, მცხოვრებლებს მოესპოთ გაძლიერებული კვება.

**წყალსადენის გაწმენდა.** ქალაქის წყალსადენის გამგის თხოვნით, თბილისის გარნიზონის უფროსმა გაგზავნა 100 წითელ ლაშქრელი ერთი კვირის განმავლობაში ქალაქის წყალსადენის ავჭალის სადგურის გასაწმენდათ.

**ქარელის ბორანი.** ქარელის რევკომმა აღძრა შუამდგომლობა 10 მილიონი მანეთის გადადების შესახებ ქარელის ბორანის შესაკეთებლად.

**ბეზობდ ლის შარა-გზა.** სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტმა მიიღო რა ხედველობაში რომ ბეზობდალის შარა-გზა გადის ფრიად მდიდარ რაიონში, რომელსაც შეუძლიან მოამარაგოს ტფილისი რძის ნაწარმოებითა და სხვა სურსათით, სცნო საჭიროთ რიგს გარეშე შეუდგეს ამ შარა-გზის შეკეთებას და მიმოსვლა-გზათა საოლქო ნაწილო განყოფილების გამგეს თხოვნით, რათა ტეხნიკური დახმარება აღმოუჩინოს მას საატიდან ვორონცოვკამდე, ხოლო სხვა დარჩენილ შარა გზაზე შეკეთება აწარმოონ ნატურალურ ბეგრის სახით, რომელსაც ბორჩალოს რევკომი მოახდენს.

შეგვიძლიან მივიღოთ საქონელზე გადაცვლით. ფულის ნიშნებს კი თითქმის არ ექმნებათ ადგილი, მათი ღირებულების სრულიად დაცემის გამო.

ამავე დროს საქართველოს წლიური მოთხოვნილება (აზხ. ზეთს მხედველობაში არ ვიღებთ) გამოიხატება საშუალოთ:

| | | |
|---|---|---|
| კვებისათვის | . . . | 32.000 000 ფ. |
| საქონლისათვის | . . | 3 500 000 „ |
| სათესი | . . . . | 4 500 000 „ |
| სულ | . . | 40.000 000 ფ. |

**შენიშვნა:** (წლიური მოთხოვნილება სურსათისა:

1. ქალაქის მცხოვრებთა—500.000 კაცზე თითო გირ. დღეში—4 500.000 ფუთი.

2. სოფლელებისა—2 000 000 კაცზე 1 ნახევარ დღეში—27.000.000 ფუთ სულ—31.500.000 ფუთი.

ხორბლეულობის საშუალო მოსავალი საქართველოში უდრის 30 მილიონ ფუთს. წრეულს მოსავალი მოსალოდნელია ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს საშუალოზე, და შესაძლოა კი რომ მასზე ნაკლებიც გამოდგეს, ვინაიდან შემოდგომაზე დათესილმა არ გაიხარა, საშინელი ყინვების, უწვიმარი გაზაფხული და დაუთესავი ადგილების დატოვების გამო. საშუალო მოსავალი რომ მ ვიღოთ მხედველობაში ნაკლულება გამოიხატება დაახლოებით 10.000.000 ფ. რასაკვირველია შესაძლო რომ იყოს ნორმების დაწესება პურის მოხმარებაზე, ეგ უკანასკნელი გამოიწვევდა დიდ შემცირებას მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ⁴/₅-ს საქართველოს მცხოვრებთა შეადგენს გლეხკაცობას, რომლისთვისაც პური შეადგენს კვების ძირითად პროდუქტს და მათ შორის ნორმის დაწესება შეუძლებელია, ან და შესაძლოა მხოლოდ ნაწილობრივ, მომხმარებელ რაიონებში. თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს და ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ სახ. სასურკომი აკმაყოფილებს მცხოვრებთა მხოლოდ ერთ ნაწილს განსაკუთრებით; ჯარს, მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახობას, ავადმყოფებს, დასახიჩრებულებს და პატიმრებს განსაზღვრული ულუფით, ჩვენ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ რომ საჭიროა დავამზადოთ ერთი წლის საყოფათ 5.000.000 ფუთამდე ხორბალი. ლაშქრისათვის—2 გირ. თითო სულზე, ჯუშებს—1 ნახევარ გირ., მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს, ავადმყოფებს, დასახიჩრებულებს და პატიმრებს—1 გირ. მცხოვრებთა ყველა ამ ჯგუფთა ე. ი. 250.000 კ. დასჭირდება 2.000.000 ფ.

სოფლის მოსახლეობას, იმ რაიონებში, სადაც პურის დიდი ნაკლებობაა და ესაჭიროებათ სახელმწიფოსაგან დახმარება 1.250.000 ფ. დანარჩენ ქალაქთა მცხოვრებთა მოთხოვნილების დამატებით 1.750 000 ფ. სულ 5.000 000 ფ.

ჩვენ გვესაჭიროება აღნიშნული ხორბლის რაოდენობის დამზადება. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ, როგორც ეს ზემოაღნიშნული იყო, ვერ დავამზადებთ მას საქართველოს საზღვრებში, ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები, რათა ჩვენთვის საჭირო რაოდენობა საზღვარ-გარედ და მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში დამზადდეს, ამისათვის, ფულის ნიშნების ღირებულების დაცემის გამო, ჩვენ განკარგულებაში უნდა ვიქონიოთ რაიმე ეკვივალენტი, ე. ი. საქონლის ფონდი განსაკუთრებით ხორბლეულობის საზღვარ გარედან შემოტანისათვის გვესაჭიროება ვალიუტა ან და სავალიუტო დაუმუშავებელი მასალა. ვინაიდან ჩვენ გვაკლია გადაცვლისათვის საქონელი, ეს უკანასკნელი ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ საზღვარ გარედან და მის საფასურს გადავიხდით იმავე სავალიუტო საქონლით.

საწარმოვო კავშირებს ევალებათ ესწრაფოთ შექმნან საქონლის ფონდის მინიმუმი სასურსათო ნაწარმოებზე გადასაცვლელად; წარმოების დაქვეითება დამამუშავებელ მრეწველობაში გამოიწვევს რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის საერთო გაუდიდებების გარდა, აგრეთვე საქონლის ფონდის სრულიად მოსპობას; მისი შენარჩუნება იმ დონეზე, რომელზედაც ის ამ ჟამად სდგას, საქმეს ვერ გამოასწორებს, ვინაიდან საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობა განვითარებულია სუსტად და მისი ნაწარმოები ვერ შეავსებენ საქონლის ფონდს. სწორეთ ამიტომ საწარმოვო პროფკავშირებმა უნდა გაჩაღონ ენერგიული მუშაობა მრეწველობის აღსადგენათ; პირველ რიგში, ტრანსპორტის შემდეგ, საწარმოვო პროგრამაში აღნიშნულ უნდა იქმნეს საკვები პროდუქტების და ფართო მოსახმარ ნივთების წარმოება, გაცვლა გამოცვლისათვის სოფელთან.

ადგილობრივი მრეწველობის აღორძინება და განვითარება მოითხოვს სიკმარისს დროს. მანქანებს, იარაღს, ჩვენ იძულებული ვართ ფართო მოსახმარ ნივთების დამზადება საზღვარ-გარედ ვაწარმოვოთ რისთვისაც საჭიროა, როგორც ზემოთ ხათქვამია, ვალიუტა ან და სავალიუტო დაუმუშავებელი მასალა. საგარეო სავაჭრო ოპერაციების უწინარეს ულობის გამო, უცხო ვალიუტა ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ერთ ერთი ეკვივალენტი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ—არის ჩვენი სავალიუტო დაუმუშავებელი მასალა: ამ სავალიუტო ნედლი მასალის მობილიზაცია და მისი დამზადება შეადგენს ძირითად და პირველხარისხოვან მიზნებს; რესპუბლიკის მთელი სავალიუტო მარაგი უნდა გადაეცეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატს. ამომღებელ მრეწველობის დარგშიდაც საწარმოვო პროფკავშირებს ეკისრებათ მეტად მძიმე მოვალეობა—მრეწველობის აღდგენა და განვითარება, უმთავრესად სამთო მრეწველობის შავი-ქვა, ნახშირი, ნავთი და სატყეო ვალიუტის ფონდის დასრულებისათვის, რომლის საშუალებით კაპიტალისტურ ქვეყნებში შესაძლოა შესყიდვა ერთი მხრივ საკვები ნაწარმოებით და მეორე მხრივ ფართო მოსახმარ ნივთების და სასოფლო-სამეურნეო იარაღის—გაცვლა გამოცვლისათვის.

სახსასურკომმა მიაქცია სერიოზული ყურადღება დაუმუშავებელ მასალის დამზადებას; უკანასკნელის დამზადება სწარმოებს უმთავრესად კოოპერატივების საშუალებით, თან საფასურის ერთ ნაწილს ვხდით ფართო მოსახმარ საქონლით და დანარჩენს ფულით, რისთვისაც სახსასურკომის მიერ დაწესებულია „ჯავშნიანი" ფონდი საქონელისა, რომელიც შეადგენს გადასაცვლელ ფონდს, სავალიუტო საქონლის დასამზადებლად. ამ უკანასკნელის რაოდენობის შესახებ საქართველოში ჩვენ მოვილაპარაკებთ მეორე წერილში.

ა. ერქომაიშვილი.

(დასასრული იქნება)

## ბრძოლა ეპიდემიასთან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ განათლების განყოფილებამ მიიღო მეტად ენერგიული ზომები ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ.

ეს ზომები წარმოადგენენ საექიმო საჰიგიენო ცნობების გავრცელებას მოსახლეობის შორის, რაც აუცილებელია განსაცდელის წინააღმდეგ საბრძოლველად. გადასწყვიტეს ლექციები მოაწყონ ყველა ენებზე ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. უკვე ათი ათასობით დარიგდა საქართველოს ყველა კუთხეში მოწოდება ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. ქართულ ენაზე იბეჭდება ბროშურა, რომელიც სპეციალურად აწერს ამ ბრძოლის ღონისძიებათ, ხოლო ამ დღეებში გამოვა ბეჭვდიდან სპეციალური ერთ დღიური ჟურნალი რომელიც ამავე საგანს შეეხება № ჟურნალი, იბეჭდება რუსულ და ქართულ ენებზე. ჟურნალში მოთავსებული იქნება წერილები პროფესორ შიროკოგოროვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ამხ. კუჭაიძესი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის ექიმ ელიაშვილისა. და სხვა.

გამოცემა მხატვრული პლაკატები ადგილობრივ ენებზე, საბჭოთა რუსეთის მსგავსათ, ფართეთ გასაკვრელათ საქართველოს ყველა ქალაქებსა და სოფლებში, გამართულ იქნება მაჩვენებელი ვიტრინები და გამოფენები, რაოდენობით 10, უმთავრეს საკითხის, ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

დაიწყეს წინასწარი მუშაობა სანიტარულ განათლების სახლის მოსაწყობათ მოსკოვის ტიპის მსგავსათ აუდიტორიებით, საკითხველოთი, გამოფენით. ეს სახლი შეიქნება კერათ სასახიტარო საჰიგიენო ცოდნის გავრცელებისა მოსახლეობას შორის.

მიიღეს ზომები ამ მიზნისათვის კინოთეატრების ფართეთ გამოსაყენებლად.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარული განყოფილება ღებულობს ყველა ამ ზომებს და თავისი მხრივ იმედოვნებს, რომ საქართველოს ყველა დაწესებულება ყოველნაირად ხელს შეუწყობს ამ საქმეში.

**ხოლერის მსვლელობა თბილისში.**

4 ივლისის დილის 9 საათიდან 5 ივლისის დილის 9 საათამდე ავათ გახდა ხოლერით 25 კაცი, ამათგან [illegible]. 5 ივლისს ავათმყოფთაგან 4 ივლისს გარდაიცვალა 3 კაცი.

წინეთ ნაჩვენები სავეჟვოებიდან ვიბრიონები არ აღმოჩნდა:

ივნისის 27 მიღებული ავათმყოფთაგან 2 კაცს, 28—2, 30—1,

**გაეწერა უკეთესობით.**

ივნისის 16 მიღებული ავათმყოფთაგან 1 კაცი. 20—1, 24—1, 27—3, 29—1.

**განაწილება უბნებზე:**

1 უბანში—0, 2 უბ.—0 3 უბ.—0, 4 უბ.—1,—4,0 პროც. 5 უბ.—0, 6 უბ.—1,—4,0 პროც. 7 უბ.—0 8 უბ.—2,—8,0 პროც. 9 უბ.—1,—4,0 პროც. 10 უბ.—0, პროც. 11 უბ.—2,—8 0 პროც. 12 უბ.—1,—4,0 პროც 13 უბ.—0, 14 გამოურკვეველი 17,—68,0, პროც.

**კატეგორია საერთო ავათმყოფთა.**

კვალიფიციური მუშა—0 შავი მუშა—2,—8,0 პროც. მოსამსახურე 0, წითელი არმიელი—8,—32,0 პროც. დიასახლისი—6,—24,0 პროც. უსაქმო—9,—36,0 პროც. მწერალი—0.

**სადაურია ხოლერით ავათმყოფი.**

თბილისელი—23,—92,0 პროც. თბილისის გარეთ მცხოვრები 1,—4,0 პროც. მეზობელ რესპუბლიკელი—0, რუსეთიდან ჩამოსული—0, გამოურკვეველი 1,—4,0 პროც.

**წლოვანება.**

1—20 წლ.—4,—16,0 პროც. 21—25 წლ.—7,—28,0 პროც. 26—30 წლ.—2, 8,0 პროც. 31—40 წლ.—3,—12,0 პროც. 41—50 წლ.—2,—8,0 პროც. 51—60 წლ.—3,—12,0 პროც. 61—90 წლ.—2,—8,0 პროც. გამოურკვეველი—2,—8,0.

**ე რ ო ვ ნ ე ბ ა.**

ქართველი 5,—20,0 პროც. რუსი 13—52,0 პროც. სომეხი 7,—28,0.

**დ ა ს კ ვ ნ ა:**

ამ დღის განმავლობაში ავათ გახდა ხოლერით სულ 25 კაცი. ამათგან გარდაიცვალა 3 კაცი,—20 პროც. აქედან ცენტრალურ უბნებში გახდნენ ავათ 4 კაცი—16, პროც. განაპირა უბნებში—4—16 პროც. გამოურკვეველი 17,—68 პროც.

## თეატრი და ხელოვნება

**მ ა რ ა ბ ი**

მარაბში შაბათს, 18 ივნისს ადგ. დრამატ წრის მიერ შენია ჯანელიძის რეჟისორებით გამართა საღამო წარმოდგენა. დადგმულ იქნა „ირინეს ბედნიერება" და „ფარნაოზის მესამე ცოლი" წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო და უადგილობა იწვევდა დიდ უწესრიგობას. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი არა ჩვეულებრივი მოვლენა, რასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი და პირდაპირ დაუშვებელია, რომ წარმოდგენა იწყება ღამის 2 საათზე და თავდება დილით. ძლიერ ცუდათ ჩატარდა „ირინეს ბედნიერება": არც ერთი მოთამაშემ როლი არ იცოდა და პიესაც იქნა დამახინჯებული. ბევრი რამე იქნა გამოტოვებული და ბევრიც ჩამატებული სცენის მოყვარეთა მიერ. სიცილს იწვევდა ხოლმე აუდიტორიაში ასეთი ეფექტები: ყველანი სხედან და აბესალომი მაინც ჰყვირის „დასხედით, დასხედით, ბატონებო!" ბიქტორის მიერ ბავშვის და ებრაული ინტონაციის ერთმანეთთან შერევაც. აბესალომ დამშვიდებულია, არავითარ სიმკაცრეს არ იჩენს და ბიქტორი კი ეუბნება: „დამშვიდდის". 1-ელი მოქმედება იმის მაგივრად რომ სწარმოებდეს ეზოში, იყო ოთახში. არც ერთ მოთამაშეს არ ჰქონდა არავითარი განცდა და ვერავითარ ეფექტს, შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. მხოლოდ და მხოლოდ ცოტაოდენი ყურადღებას აუდიტორიისას იპყრობდა ფილიპე, მაგრამ არ სცოდნია სცენის ანბანური ჭეშმარიტება. რომ ხშირად არა საჭირო დროს ზურგს აქცევდა აუდიტორიას. ერთი სიტყვით, რეჟისორის მხრივ პიესას სრულიად არავითარი მომზადება არ ეტყობოდა... ძლიერ სუსტად ჩატარდა მეორე პიესა-კომედია.

მართალი, სცენის მოყვარენი არიან, მაგრამ მეტი მოეთხოვებათ და იმედია შემდეგისათვის დროზე დაიწყებენ წარმოდგენას და უფრო მომზადებულად გამოვლენ სცენაზე, რომ თეატრალური ხელოვნება შეაყვარონ მშრომელ ხალხს.

ლტოლვისშვილი.

## პარტიული ცხოვრება.

**კომ. პარტიის ბორჯომის რაიონის წევრთა საზოგადო კრება.**

სამშაბათს, 28 ივნისს მოხდა კომპარტიის ბორჯომის რაიონის წევრთა საზოგადო კრება, ამხ. ნ. შალუტაშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) პარტიული დისციპლინა,
2) მორიგ კრებების დანიშვნა,
3) სავალდებულო სამხედრო ვარჯიშის შემოღება
4) ამხ. შალუტაშვილის მოხსენება.

პირველ საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა, რათა ყველა წევრი პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას პარტიისაში და თავისი სამაგალითო საქციელით დაუმტკიცოს ყველას, რომ კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც, ემსახურება პროლეტარიატის ნამდვილ ინტერესებს.

კრებამ გადასწყვიტა, რომ ყოველ სამშაბათობით ხდებოდეს კომიაჩეიკების მორიგი კრებები; ყოველ ხუთშაბათობით უნდა ხდებოდეს კომიტეტის კრება და ყოველ პარასკევობით უნდა ხდებოდეს კომპარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც მოვალეა დაესწროს ყველა წევრი და მოვიდეს კრებაზე სრულ 4 საათზე.

კრებამ სურვილი გამოსთქვა შექმნას საგანგებო რაზმი და ამისათვის დაადგინა, რათა სწარმოებდეს სამხედრო ვარჯიშობა კომუნისტ ამხანაგებისა კვირაში ორჯერ: ორშაბათობით და ხუთშაბათობით, რასაც უნდა მოანდომონ ორ ორი საათი.

შემდეგ ამხ. შალუტაშვილმა გააკეთა მოხსენება 16 ივნისში მოხდარ საქართველოს პარტიულ წარმომადგენელთა ყრილობის შესახებ, წაკითხულ იქმნა ყრილობის დადგენილებანი მომავალ ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ და სხვ. მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა, რის შემდეგაც იმღერეს ინტერნაციონალი.

ბ. ბ.

## მუშათა ცხოვრება

**თბილისის სამხედრო კომისარიატში.**

კვირას, 12 ივნისს, მოხდა თფილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება თფილისის გუბკომრატის ბინაზედ. კრება გაიხსნა ამხ. ლეოხიძის თავმჯდომარეობით დღის 3 საათზედ.

პირველათ მოხსენება გააკეთა თფილისის სამხედრო კომისარმა ამხ. კობიძემ (ციმბირელმა). მომენტზე და სამხედრო აპარატზე რუსეთში და აქ.

დასასრულ მოხსენებისა ამხანაგ კობიძემ მოუწოდა კრებას ენერგიული მუშაობისკენ ახალი სოციალისტური სახელმწიფოს აღმშენებლობაში. მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო, რის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია.

„მოვისმინეთ რა ამხ. კობიძის მოხსენება მომენტზედ და სამხედრო აპარატის მოწყობის შესახებ, დავადგინეთ: მივესალმოთ საქ. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობას და მის ბელადს ფ. მახარაძეს, რომლის წინაშე ფიცსა ვსდებთ, რომ უკანასკნელ ჩვენს ენერგიას შევსწირავთ საერთო საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, და ბოლომდი ვიბრძოლებთ მუხანათი მტრის წინაშე წითელ ლაშქრის რიგებში და არავის მივცემთ ნებას ფეხქვეშ გასწიხლოს თავისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს და მის ბელადს ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

შემდეგ გაიმართა საუბარი სხვა და სხვა საკითხებზედ. პირველი საკითხი იაჩეიკის მოწყობის შესახებ. იქმნა მოწყობილი კომიაჩეიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების დასასრულს, ამხ. ლეჟნიძე უცხადებს კრების სახელით მადლობას ამხ. კომისარს კობიძეს კრების ინიციატორობისთვის და სთხოვს უფრო ხშირად იქნეს მოწყობილი კრებები და საერთო პოლიტიკური მუშაობა.

კრების თავმჯდომარე ლეჟნიძე.

მდივანი ჩიქოვანი:

## წარმოებითი პროფკავშირებში.

**სამშენებლო მუშათა პროფკავშირების განყოფილებათა დაარსება.**

სამშენებლო მუშათა პროფკავშირების საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ბოლქვაძე ამ დღეებში მიემგზავრება გორში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათომში, ფოთში და სხვა ქალაქებში ადგილობრივი კავშირის განყოფილებათა დასაარსებლად და სამშენებლო მუშათა საერთო ყრილობისათვის მოსამზადებლად.

**აგიტაციების კვირა.**

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის წინადადებით კავშირის სამართველოს მიერ მოწყობილ იქმნა აგიტაციების კვირა, რომლის გასამართავად მოწვეულ იქნენ კავშირის სამმართველოს პრეზიდიუმის ყველა წევრები. გამართულ იქნა სამშენებლო მუშათა საერთო კრებები, რომლებზედაც წარმოთქმულ იქმნენ მოხსენებები შრომისა და წარმოების გაძლიერების შესახებ, პრეზიდიუმმა გამართა საქარხნო კომიტეტების ხელახალი არჩევნები. და აგრეთვე განხილული იქნა სურსათ სანოვაგის კრიზისი. საგიტაციო კვირამ დიდის ნაყოფიერებით ჩაიარა.

**პროფ კავშირების საბჭოს კულტურულ განყოფილებაში.**

პროფკავშირების საბჭო თავის არსებობის დღიდან შეუდგა წარმოებითი კავშირებთან და ადგილებზე წარმოებათა და დაწესებულებებთან კულტურულ განმანათლებელ აპარატების მოწყობას. კულტურულ განყოფილების კოლეგიამ შესძლო ამ დროის განმავლობაში გადაეწყვიტა ძირითადი პრინციპიალური საორგანიზაციო და პრაქტიკული ხასიათის საკითხები. თეატრის ბილეთების 60 პროც. იყო გადადებული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში გაიხსნა 10 სკოლა. განყოფილებამ მოაწყო ოთხი საბავშვო დღესასწაული, სადაც მუშათა ბავშვებს 5—12 წლამდე დაურიგდა სააღდგომო საჩუქრები. გამართა აგრეთვე მთელი რიგი კონცერტებისა და წარმოდგენებისა. იყო კონტაქტი დამყარებული მთავარ პროფორგანოებთან და გამოირკვა პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების გატარების მოთხოვნილებების აუცილებლობა. განყოფილების მუშაობა უმთავრესათ მუშათა შორის სწარმოებდა. პროვინციების მიმართ იგი გამოიხატა ინსტრუქციის მიცემაში და ლიტერატურის და გაზეთების დაგზავნაში.

**ქ. სამტრედია.**

შაბათს, 25 ივნისს მოხდა ყრილობა სამტრედიის რკინის გზ. მუშა-მოსამსახურეთა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. ისაკია, მდივნად აქსენტი პაპავა. დღიური წესრიგი: 1) მოხსენება სასურსათო მდგომარეობის შესახებ და მოხსენება სრულიად რუსეთის წითელ პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის მუშაობაზე. პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე ლეჟავამ, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა სასურსათო კრიზისის აუტანლობა საქართველოში, დეტალურათ გაარჩია მისი გამომწვევი მიზეზები და მიუთითა მუშებს იმ ზომებზე, რა ზომებიც სოციალისტურ მთავრობას გადაუდგამს მის დასაძლევათ, მოუწოდა მუშებს მხარში ამოუდგენ მთავრობას და შეერთებული ძალით ესძლევთ ჩვენ სასურსათო კრიზისს, როგორც ვძლიეთ სხვა მრავალი ფრონტებით, მომხსენებელს ხშირად აწყვეტინებდენ და ოვაციებს უმართავდენ. შემდეგ სიტყვა მიიღო ამხანაგ ვალ. ვაშაკიძემ, რომელმაც თავისი მქნილი ენით დაიპყრო მუშების ყურადღება. თვალწინ გადაუშალა მუშებს მომენტის სირთულე, მისი მიზეზები და უჩვენა აქედან გამოსავალი გზა. ისევ შრომით, მეტი თავდადებით, მუშურ [illegible], მდგომარეობის შეგნებით, შეგვიძლია ჩვენ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. ამის შემდეგ ოპონენტათ გამოვიდა მენშევიკების აქ დარჩენილი აგენტი ს. ხვიჩია, რომელმაც ბევრი აქო-ადიდა ძველი მთავრობა მისთვის ტკბილად მოსაგონარი, ბევრი ილოცა სოციალ გამყიდველებზე და სხვ. მაგრამ ყოველი მისი დემაგოგია აღელვებას იწვევდა მუშებში და სიტყვას აწყვეტინებდენ. მას მოხდენილი პასუხი გასცეს პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა გეგეშიძემ, ლეჟავამ და ვაშაკიძემ, რომლებმაც სულ გამოაღალეს მენშევიკების ნამოქმედარი და დაამტკიცეს, რომ მათი ყოველი მოქმედება იყო მუშების საწინააღმდეგო მიმართული ბურჟუაზიის სასიამოვნოთ და სხვა მრავალი, მათ უკანასკნელი სიტყვა მხურვალე ტაშით დაფარეს. მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც სცნობენ რა აუტანელ სასურსათო კრიზისს სამტ. რკ. გზ. პროფკავშირის მუშები კმაყოფილნი არიან მთავრობის გადადგმული ნაბიჯებით და ფიცს სდებენ მის წინაშე რომ ასწევენ შრომის ნაყოფიერებას და დაიცავენ მის ინტერესებს.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის მუშაობის შესახებ ამხ. ნ. ლეჟავამ, რომელმაც აღნიშნა წითელ კავშირების თანდათანობით ზრდა და გავლენა მსოფლიო პროლეტარიატზე. მან ციფრებით ხელში დაამტკიცა, რომ წითელი პროფკავშირები იზრდება, მაგრამ ყვითელი კი სუსტდება, დნება. (ამსტერდამის, ბერნის). დღეს წითელი პროფკავშირი აერთებს 14.000.000 მუშა პროლეტარს ყვითელს კი დარჩა რამოდენიმე მილიონი, რომელთა შორის დიდი ქიდილია, აზრთა შეჯახება, დარჩეს ყვითელში თუ გადმოვიდენ წითელ კავშირში. მოხსენება შინაარსიანი იყო, რის შესახებ კრებამ მიანდო შესაფერი რეზოლუციის გამომუშავება პრეზიდიუმს.

ხან კანი.

## პროვინციაში

**თიანეთი**

თიანეთის მაზრა თავის სიმაღლეზე სდგება. პანკისში და ახმეტაში იქმნა გამართული მიტინგები. გლეხები ფიცსა სდებენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოლებენ და დაიცავენ საბჭოთა მთავრობას.. პანკისის უბანში დაარსდა კომიაჩეიკები. სამაზრო კომიტეტი მუშაობს ყოველმხრივ. შედგა ახალი რევკომი, რევკომში მოეწყო ყველა განყოფილებები, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. სოფლად რევკომები არსდება, ვინაიდგან წინანდელი რევკომები იყო სუსტი. ყველა სოფლებში იაჩეიკები არსდება. თიანეთის უბანში დაარსდა ოთხი იაჩეიკა და შიგ თიანეთში მეხუთე. თიანეთი განიცდის კულტურულ ძალების ნაკლულობას.

იბოლაშვილი

**ს. ქვაჟუდი.**

ეს სოფელი ეკუთვნის ქუთ. მაზრას და მდებარეობს სად. საჯავახოდგან სამხრეთ აღმოსავლეთით 8 ვერ. მანძილზე. ამ სოფელში არსებობს კულტურული დაწესებულებანი: კოოპერატივი, სამკითხველო, სახალხო სკოლა და სხვა. 1919 წლიდან აქ არსებობდა დრამატიული წრე რომელიც შეძლების დაგვარად ასრულებდა თავის მოვალეობას. ხსენებული წრე დღესაც არსებობს აქ, უფრო უკეთეს პირობებში, ვინემ წინად და კიდევაც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

წელს აქ გამართულ იქმნა უფასო საღამოები. ამა წლის 26 ივნისს, მოხდა ხსენებულ სოფლის დრამატიული წრის კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. პ. რ. ლორიამ, რომელმაც გაარკვია ამხანაგებს თეატრის მნიშვნელობა და დანიშნულება დრამატიული წრისა. ულრმესს მადლობას ვუძღვნი ამხ. ლორიას, რომ ის დიდ ენერგიას სწირავს ხალხის კეთილდღეობას და ხელს უწყობს ასეთ კულტურულ საქმის აყვავებას.

X.

**ს. ლებძამე (სენაკის მაზრა)**

ვერ იქნა და ვერა! გლეხების საზარალო ჩვეულებას ბოლო არ მოეღო, თუმცა ამაზე დიდი ხანია ყურადღება მიქცეულია, სიტყვით ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწე ამხანაგების მიერ, პრესით და პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით და კერძოდ ლებძამის ახლო მეზობელ ამხანაგებსაც არა ერთხელ ქონია გლეხებთან ამაზე ლაპარაკი, მაგრამ გლეხებმა ეს ტრადიციული „დღესასწაული“ ვერ მოიშორეს თავიდან და დიდის მხიარულებით და მოწიწებით ემზადებიან „ჯარიანობის“ შესახვედრად უკანასკნელი ბოგანო გლეხებიც კი ანგარიშს უწევენ და როგორც შეძლებული კლასი სოფელში, ისე, ისინიც დაქანცვით აწყობენ სუფრას. „ამაღლებას ბევრი სტუმრები უნდა მეყოლოს და რაც უფრო იქნება, სირცხვილი არ უნდა ვნახო, ჩემი მეზობლების ჯინაზე“ ო. გაჭირვება დიდია, ქვეყანაში სურსათ-სანოვაგის მხრით კრიზისი გამეფებული და სწორედ ამ დროს ჩვენი ბოგანო გლეხობა სამ დღეებით ემზადება და არ ენანება, რომ დანიშნულ დღის გასამასპინძლებლად მარჩენალი ხარიც გაყიდოს. ამ დროს მას არ ახსოვს, რომ გუშინ მთავრობის წინ იდგა და თავის გაჭირვება სილარიბეზე მოსთქვამდა, არც ის ახსოვს, რომ ხვალაც იგივე მთავრობა უნდა შეაწუხოს. „არიქა შენი ჭირიმე ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, თუ სიმინდი არ მომეცი“. არაერთხელ ქმნილა, რომ ჯარიანობა და დღესასწაულის გარდახდა მრავალნაირად მავნებელი ხალხისთვის. ჯერ ერთი ის, რომ ისედაც ღარიბ გლეხის ოჯახი განადგურებისაკენ მიჰყავს და მეორეთ აქ ისე არ დამთავრებულა ჯარიანობა, რომ საგრძნობი ჩხუბიც არ ატეხილიყოს და სიკვდილის შემთხვევა არა ერთხელ ყოფილა, რომელიც წელსაც განმეორდა, მაგრამ მაინც არ ეღება ბოლო ამ საშინელ და მავნე ჩვეულებას. წელს ამ ჯარიანობამ იმსხვერპლა ერთი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ადამიანი, ბეთლემის სამეურნეო კომუნის წევრი ამხ. ანდრონიკე ბესარიონის ძე როგავა. თუმცა ჩხუბით არა, მაგრამ მაინც ამ ჯარიანობის მიზეზით დაეცა ძვირფასი ამხანაგი, რომელზედაც გლოვობს ხსენებული კომუნა. ამხანაგი ანდრონიკე რწმენით კომუნისტი იყო, იგი 1907 წ. გაეცნო ამ პარტიას და მას შემდეგ მუშაობდა და თავისი მუშაობით მძიმე ტვირთს უმსუბუქებდა მუშაობაში მოწინავე ამხანაგებს და დიდ დახმარებას უწევდა ყოველივე მასს საიდუმლო მოქმედებაში. ამხ. ანდრონიკესაგან ვერ გაიგონებდით მიხვეულ-მოხვეულ სიტყვას. მისი ხაზი იყო სიმართლის დაცვა. თუმცა ფართო ასპარეზზე არ იყო გამოსული ამხ. ანდრო, მაგრამ იქ, სადაც მას იცნობდენ, სათანადო სიმპატია ჰქონდა დამსახურებული. მისი მოფიქრებულ სიტყვებს, ბევრჯერ გაურკვევლობაში მოჰყავდა კარგი მოწინავე ამხანაგებიც. სამეურნეო კომუნაში პირველობას აჩენდა თავისი ენერგიული მუშაობით. ყველა თავისი წიწები კომუნაში შეიტანა და ორი ძმებიც გვერდზე ამოიყენა, მაგრამ არ დასცალდა თავისი მიზნების განხორციელება და უსამართლო ბუნებამ ბოლო მოუღო და უეცრივ მოსტაცა ძვირფასი სიცოცხლე. 9 ივნისს ა. წ. სოფ. ლებძამის (ამაღლე ბაზე) ჯარიანობაში ცხენის თამაშობის დროს, როგორც აქ ჩვეულებათ იციან, უცაბედად დაეცა ამხ. ანდრონიკე და მყისვე განუტევა სული. განსვენებული ამხ. ანდრო ხშირად შეპაასებოდა ერთ და იმავე საგანზე და წინადადებით მიმართავდა ხოლმე: „გავაცანი ჩვენი სამეურნეო კომუნა მთავრობას, რათა დახმარება აღმოგვიჩინოს და მისს (კომუნის) მტრების ჯინაზე მაღლა დაგვაყენებიოს“-ო. აი, ამის გარეშე სხვა არ გახლდათ ამხ. ანდრონიკეს საყვარელი საგანი. ბეთლემის კომუნა ამხ. ანდროს უკანასკნელ გამოთხოვების წუთამდის თავს დასტრიალებდა, არ მოშორებია სამარის კარამდი კომუნალური მუშები თავის დაღუპულ ამხანაგს. ისინი ეცვნენ მეორე ძვირფასს ამხ. ანდრონიკესი. დასაფლავების დღის ორი თვის გვალვისაგან გადამწვარ ქვეყანას მოევლინა ციური მანანა და დილიდან დაწყებული საღამომდი კოკისპირულად სწვიმდა. მიუხედავათ ასეთი დღისა, დიდი და ცხარე ცრემლი დაღვარა ამხ. ანდროს გამოთხოვებამ, სხვათა შორის კომუნის მხრით იქნა მოძღვნილი დაფნის გვირგვინი ზედ წარწერით „ხელოვნურად დაცემულს ბეთლემის კომუნის წევრს ამხ. ანდრონიკე როგავას. ბეთლემის სამეურნეო კომუნის მუშებისაგან“. წინ უხუცესი მოუძღოდა 40 მდე დაწყობილ ამხანაგებს. მიუახლოვდენ ცხედარს და უხუცესმა მიმართა შემდეგი სიტყვით: მუხლს ვიყრით პატიოსანო მუშაკო შენს პატიოსან ცხედრის წინ. ყველამ მუხლი მოიყარეს და ცხარე ცრემლი დაანთხიეს ამხ. ანდროს, ამ სურათმა მთელი მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: „აი კომუნაც ასეთი უნდა, ღმერთმა ნუ ქნას თუ მივაღწიე საგაითოთ კომუნაში არ შევიდეო“ ხშირად იყო ამ თემაზე ლაპარაკი. დიდი დანაკლისია ჩვენთვის ბეთლემის კომუნისთვის ამხ. ანდროს დაკარგვა. აწ ვეღარ გავიგონებთ ამხანაგო შენს გონივრულს მოსაზრებებს, ვერც პარტიულს და ვერც საზოგადო კრებებზე. აწი ვერ გაერევი შენს ამხანაგებს კომუნაში, შენ უკვე დაგიპყრო ცივმა სამარემ. მშვიდობით ამხ. ანდრო! მსუბუქი იყოს შენთვის უკუნეთით მოცული ბნელი სამარე.

ეხლა გადავიდეთ ისევ ჯარიანობაზე. უფრო დროა ხალხმა გამოიღვიძოს და თავი დააღწიოს სულთას ძილს. როცა დროს დღესასწაული და მეტი სურსათ-სანოვაგის ფლანგვაა, როდესაც შიმშილით განადგურება მოელის საზოგადოებას კაცობრიობას. განა შესაბრალისია ის გლეხი, რომელიც ჯარიანობაში რამოდენიმე ასი-ათას მანეთს ხარჯავს და შემდეგისთვის კი ლუკმა პური არა აქვს. მაგრამ ის დაინტერესებულია; ნუ თუ პეტრეს ჰყავდეს სტუმრები და მის სახლიდან მოისმოდეს „მრავალჟამიერი“ და ჩემს სახლში კი არ გუგუნებდეს? არა! მაშინ მოკვდეს პავლე თუ პეტრეს ჩამორჩეს რამეში!.. პავლეს ავიწყდება, პეტრეს, რომ სიმინდი და სხვაც ბევრი აქვს და მას კი არაფერი. და დაინტერესებული პავლე, იცვლება, ნადგურდება, ჯარიანობის მეორე დღეს მას ლუკმა მჭადიც ენატრება და ამ ნაირად გაბრაზებული პავლე მთავრობას ლოცვა კურთხევას უგზავნის. თქვენა ხართ მუშური მთავრობა, რომ სიმინდს არ გვძლევთ და სხვ. დროა შევიგნოთ, რომ ასეთი ხარჯები და ჯარიანობა; ზარალის, ოჯახის განადგურების და უბედურ მარცხების მეტს არას მოგვიტანს. დავივიწყოთ ეს მავნებელი ჩვეულებები და მის მაგივრად დღევანდელ პირობების მიერ დასმულ კითხვებს გავსცეთ სათანადო პასუხი, რომელიც ჩვენგან თხოულობს აუცილებელ გადაჭრას.

რონი.

**სოფელი სალხინო (სენაკის მაზრა).**

დღიდან საქართველოს მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა ბურჟუაზიის ლაქია მენშევიკების ულელისაგან და საბჭოთა წეს წყობილების გამარჯვებისა სალხინოს რაიონის მშრომელ გლეხკაცობამ თავისუფლად ამოისუნთქა. ვინ იცის თუ როგორს წამლავდინ ხალხს მენშევიკების აგენტები თავიანთი შხამიანი ენით. მთელი მათი არსებობის დღენი მენშევიკებმა მოახმარეს ბოლშევიკების ლანძღვა-გინებას და მათი სახელის გატეხვას ამ საბრალო დონკიხოტებს ასე ეგონათ, რომ მათი ბატონობა მუდმივი იქნებოდა, მათ სრულებით დაივიწყეს ისტორიის განაჩენი და სოციალური რევოლუციის ძლევა მოსილება, რომლის ტალღამაც წალეკა მენშევიკების ბატონობა საქართველოს მიწა-წყლიდან რა მოხდა? გამართლდა თუ არა მენშევიკების ლაყბობა და სისინი ბოლშევიკების მიმართ? რასაკვირველია არა. დღეს თითქმის ყველა შეგნებული და პატიოსანი მუშ.-მშრომელი კარგად ხედავს, რომ მიწა გადაეცა იმათ, ვინც მასზე ოფლს ღვრის და ვინც თავის საკუთარი შრომით ამუშავებს მას, ხედავს რომ მთელი ძალა-უფლება მშრომელი მასის დაკუნთულ ხელშია და ბოლოს ხედავს, რომ, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობს რათა გაუწიოს ყოველ მხრივ დახმარება ყველა მშრომელთ და განსაკუთრებით კი ღარიბებს, რათა იხსნას ისინი იმ ცუდ მდგომარეობიდან, რომელიც არის შექმნილი მის გარშემო, ყოველივე ამის მერე, მიუხედავათ იმ მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა, რომელშიდაც დღეს იმყოფება საქართველოს მშრომელი ხალხი, იგი მაინც სრულებით ჩამოშორდა მოღალატე მენშევიკებს და თავს იყრის კომუნისტური დროშის ქვეშ.

სალხინოს რაიონში პარტიული მუშაობა სასურველად მიმდინარეობს. ყველა თემებში თითქმის მეტი რაც მოწყობილი არის კომუნისტური იაჩეიკები, მაგალითად: სალხინოს თემში ჯერჯერობით მოეწყო „6“ იაჩეიკა, კურზუს თემში არსებობს „7“ იაჩეიკა, კიწიის თემში „5“ იაჩეიკა, თამაკონის თემში „6“ იაჩეიკა.

თითო ასეთი იაჩეიკებში ორმოციდან ოთხმოცამდე კანდიდატები ითვლებიან, რომელნიც შესდგებიან მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი გლეხ-კაცებიდან და აგრეთვე მათ რიცხვში არიან მშრომელი ქალებიც, ყველა იაჩეიკებს ყავს თითო პასუხის მგებელი ხელმძღვანელი და სწარმოებს ყოველკვირაში ერთხელ, საუბრები პოლიტიკურ, თემებზე, გაზეთ—ბროშურების კითხვა და სხვა. ასეთნაირი თუ როგორი სასწრაფოთ და რევოლუციონური სულის კვეთებით ესწრებიან ყველა კანდიდატები იაჩეიკის კრებებს. მათი მუშაობის ლოზუნგად არის დღეს გადაქცეული: ხსნა მუდმივი გაჭირვებისაგან, ჩაგვრა - მონობისაგან არის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური წეს წყობილებაში. და აი სწორეთ ეს მოვლენა საწინდარია ჩვენი სრული გამარჯვებისა. საჭირო არის მხოლოდ მეტი დახმარება სხვა და სხვა პოლიტიკური ლიტერატურის მიწოდებით, რომელიც უფრო გააცხოველებს ჩვენი პარტიულ მუშაობას. ვერ არის მოწყობილი კარგად გაზეთების მოწოდების საქმე. გაზეთებს ეღებულობთ დაგვიანებით და ცოტას, საჭირო არის მიღება სათანადო ზომების, ვისგანაც ჯერ არს. გაზეთების დაგვიანება აფერხებს მუშაობას.!

სალხინოში ადგილობრივი პარტიული ამხანაგების მიერ მოწყობილი არის საბჭოთა სამეურნეო მიწა დაახლოვებით ათი ქცევამდე, რომლის დათესვა სიმინდით უკვე მოთავებულია. დათესვაში გვეხმარებოდა აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლები ხალხიც.

ამასთანავე სალხინოში მეორე კვირა არის, რაც დაარსდა [illegible] დაწესებულებები: 1) სარაიონო სახალხო სამმართველო ორი პარტიული ამხანაგების თანხლებით, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობის ასრულებას. 2) სარაიონო სამხედრო კომისარიატი, რომელიც პირველ რიგში თანახმად ინსტრუქციისა შეუდგა სამხედრო ვარჯიშობის საყოველთაო სწავლას (всеобуч) ვალდებულთა მობილიზაციას, რომელიც სასურველად ტარდება მთელს რაიონში. არის აგრეთვე სარაიონო საავადმყოფო რამოდენიმე საწოლით მოწყობილი, სადაც საჭირო დახმარებას ღებულობს ყველა მცხოვრებლები ამავე რაიონისა; საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღების მიქცევა სამკურნალო პერსონალის შემადგენლობაზე და მათი პირობების გაუმჯობესებდა.

ადმინისტრაცია მთელს რაიონში სდგას თავის სიმაღლეზე, ცუდ მოვლენებს არ აქვს ადგილი და, თუ კი ამისი მსგავსი რამე იქნა ღებულობენ სასწრაფო სათანადო ზომებს.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიონში დაძრწიან ობლად დარჩენილი მენშევიკების ძმა-ბიჭები და აგრეთვე ზოგიერთი სპეკულიანტ ვაჭრუკანები. მათ რასაკვირველია, არ მოსწონთ ის, რომ ბოლო ეღება ყოველგვარ უსამართლობას და ხალხის გაძარცვას მათი ჭუჭყიანი ხელებით, რის შემდეგ ეს საბრალო ნაძირალები სარგებლობენ, რა მძიმე ეკონომიური მდგომარეობით, ბნელ მასაში ავრცელებენ სხვა და სხვანაირ ყოვლად უსაფუძვლო ხმებს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, მათ კიდევ ვერ შეუგნიათ ის, რომ ყოველთვის ვერ მოთმენს მათ საბჭოთა ძალა-უფლება და თუ კი შემდეგისათვის კიდევ გაგრძელდა ასეთი პროვოკაცია, რომლის მსგავს ეს პატარა კაცუნები ავრცელებენ ისინი სასტიკად იქნებიან დასჯილი. კმარა სულგრძელობა და ამდენი მოთმენა, საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება მათი სამუდამოთ ასალაგმავად. მეტი სულგრძელობა ამ ყოვლად უპასუხისმგებლო პირების მიმართ იქნებოდა დიდი დანაშაული ხალხის და რევოლუციის წინაშე.

ი. გულორდავა.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22, ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, თეატრი „[illegible]“, ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო [illegible] ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო— [illegible] ბარი, კახეთის [illegible]. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 5—52

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible]

— საქ. ახალგ. კომუნისტურ. [illegible]—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

## განცხადებანი

**პარტიული**

შაბათს 9 ივლის, მუშათა ცენტრალურ კლუბში, პლეხანოვის ქ. № 120 საღამოს 6 საათზე შესდგება კრება კომუნისტურ პარტიის 2 რაიონის წევრების და კანდიდატებისა. დასწრება ყველა ამხანაგებისა აუცილებელია.

კვირას 10 ივლისს დილის 10 საათზე კოოპ. ალორძინების ბინაზე (ვერის დაღმართი № 12) იწვევა მუშათა კოოპერატივ „ალორძინების“

## რწმუნებულთა საზოგადო კრების გაგრძელება

რადგანაც დარჩენილი გადასაწყვეტი საკითხები [illegible] შესანიშნავი არიან, ამიტომაც ყოველივე რწმუნებულის დასწრება სავალდებულოა და აუცილებელი,

## თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა

კვირას 10 ივლისს დილის 10 საათზედ პირველ გიმნაზიის დარბაზში იწვევს საზოგადო კრებას განსახილველია მნიშვნელოვანი საკითხები, საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

გამგეობა.

## თბილისის სახალხო განათლების განყოფილება

იწვევს სპეციალისტებს საბავშვო სახლების, ახალშენების, ბავშვთა ბაღების და მოედნების ორგანიზაციისათვის. საჭიროა აგრეთვე ექიმები, მხატვარ-აღმზრდელნი, პედაგოგები ზნეობრივ ნაკლიან ბავშვთათვის; გამოცდილი გამგენი მეურნეობისა ბავშვთა სახლებში, გამოცდილი გამგე სახელოსნოებისა, ბავშვთათვის ხელოსნობის შესასწავლათ (მებაღეობისა, დურგლობისა და თერძობისა).

ძლიერ საჭიროა ხალხი, რომელთაც იციან საბავშვო საქმეები და აქვთ მიდრეკილება ამ პროფესიისადმი.

მისამართი: განოვის ქ № 3

## სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიცია

ამით აცხადებს, რომ ამა ივლისის 11 დღის 12 საათისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბონების საბეჭდ ქაღალდის ჩამონაჭრებისა, რომელიც გამოსადეგია ხელის ჩასაფენ გამოსახვევად.

## ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სახელმწიფო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10.000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.